



დანართი 1

ვამტკიცებ

შპს - ორიენტირის 2021 წლის 12 აპრილი

№01/33 ბრძანებით

დირექტორი ----- რამაზ მაჭარაშვილი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაშ.პ.ს ორიენტირი

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ლონისძიების ორგანიზება/ Event Managment**

საკონტაქტო ინფორმაცია: ქ.თბილისი, ც.დადიანის N26

ელ.ფოსტა: collegeorientiri@gmail.com

ტელ: 2 695 115

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: მაკო ჯაოშვილი

თბილისი
2021წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - ღონისძიების ორგანიზება / Event Management
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა-04119-პ
3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში / Secondary Vocational Qualification in Event Management

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს „მენეჯმენტი და ადმინისტრირების“, კოდი 0413, აღმწერი - „შეისწავლის ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ფუნქციონირებისა და საქმიანობის დაგეგმვას, ხელმძღვანელობასა და მუშაობას/ოპერირებას. მენეჯმენტის პროგრამები, რომლებიც მოიცავენ ადმინისტრირებას, ეკონომიკას, ფინანსებს და ა.შ. კლასიფიცირდება ამ სფეროში თუ აქცენტი გადატანილია მენეჯმენტსა და ადმინისტრირებაზე.“

4. მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს ღონისძიების ორგანიზატორს, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს, კოორდინირებასა და ორგანიზებას უწევს ყველა სახის ღონისძიების მომზადებასა და გამართვას.

5. დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლება
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ღონისძიების ორგანიზებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს: ქორწილების ორგანიზატორად, ასევე კონფერენციების და ღონისძიებების ორგანიზატორად სახელმწიფო და საჯარო სტრუქტურებში, სადღესასწაულო ცენტრებში, ტურისტულ და სხვა კერძო კომპანიებში, კულტურულ და სპორტულ ასოციაციებსა და ფედერაციებში, ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 82.3, 82.30, 82.30.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3341

7. სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“, რომელზეც დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ითვალისწინებს 5 ზოგად მოდულს - ჯამური 15 კრედიტის მოცულობით, 13 პროფესიულ მოდულს 46 კრედიტის მოცულობით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა, რომელზეც დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია შეადგენს 61 კრედიტს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა-9.75 სასწავლო თვე(39 კვირა)

ღონისძიების ორგანიზების საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 61 კრედიტი.

„მოდულების, ქართულიენა A2 და ქართულიენა B1 გავლასავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა, რომელზეც დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია შეადგენს 91 კრედიტს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა-14.75 სასწავლო თვე (59 კვირა)

ღონისძიების ორგანიზების საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია უნდა დააგროვოს ჯამურად 91 კრედიტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები , ითვალისწინებს 2 ზოგად მოდულს - 8 კრედიტის მოცულობით, 5 ინტეგრირებულ ზოგად მოდულს 60 კრედიტის მოცულობით, 13 პროფესიულ მოდულს 46 კრედიტის მოცულობით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები , სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია შეადგენს 114 კრედიტს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა- 27 სასწავლო თვე(108 კვირა)

ღონისძიების ორგანიზების საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 114 კრედიტი.

„მოდულების, ქართულიენა A2 და ქართულიენა B1 გავლასავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები , სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია შეადგენს 144 კრედიტს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა-32 სასწავლო თვე (128 კვირა)

➤ ღონისძიების ორგანიზების საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 144 კრედიტი.

ცხრილი N1

სტრუქტურა - დაშვების წინაპირობა სრული ზოგადი განათლება;

ლონისძიების ორგანიზება		
ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	რადიკალიზაციის წიგნიერება	2
4	უცხოურიენა	5
5	მეწარმეობა 2	2
სულ:		15
პროფესიული მოდულები - ლონისძიების ორგანიზება		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - ლონისძიების ორგანიზება	3
2	საქმიანი წინადადების მომზადება	4
3	ლონისძიების კონცეფციის შემუშავება	3
4	რესურსების მართვა	3
5	ლონისძიების გაფორმება და დიზაინი	4
6	ლონისძიებაში ჩართულ მხარეებთან ურთიერთობა	3
7	ლონისძიების კოორდინირება	4
8	ლონისძიების ფინანსური მართვა	3
9	ლონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება	3
10	პრაქტიკული პროექტი - სადღესასწაულო ლონისძიებების სადმინისტრირება	4
11	პრაქტიკული პროექტი - სპორტულ/სანახაობრივი ლონისძიებების დაგეგმვა	4
12	პრაქტიკული პროექტი - ოფიციალური/საქმიანი შეხვედრების სადმინისტრირება	3
13	წერილობით ტექსტთან მუშაობა	5
სულ:		46

ცხრილი N2

სტრუქტურა-დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება, ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებით.

ზოგადიმოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინგლისური ენა	5
2	ინფორმაციული წიგნიერება ¹	3
სულ:		8

ინტეგრირებული ზოგადიმოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	14
2	მეწარმეობა	4
3	მათემატიკური წიგნიერება	14
4	მეცნიერება და ტექნოლოგიები	18
5	მოქალაქეობა	10
სულ:		60

პროფესიული მოდულები - ღონისძიების ორგანიზება		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - ღონისძიების ორგანიზება	3
2	საქმიანი წინადადების მომზადება	4
3	ღონისძიების კონცეფციის შემუშავება	3
4	რესურსების მართვა	3
5	ღონისძიების გაფორმება და დიზაინი	4
6	ღონისძიებაში ჩართულ მხარეებთან ურთიერთობა	3
7	ღონისძიების კოორდინირება	4

8	ღონისძიების ფინანსური მართვა	3
9	ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება	3
10	პრაქტიკული პროექტი - სადღესასწაულო ღონისძიებების ადმინისტრირება	4
11	პრაქტიკული პროექტი - სპორტულ/სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა	4
12	პრაქტიკული პროექტი - ოფიციალური/საქმიანი შეხვედრების ადმინისტრირება	3
13	წერილობით ტექსტთან მუშაობა	5
სულ:		46

8. სწავლის შედეგები

ღონისძიების ორგანიზება

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაგეგმოს სადღესასწაულო, სპორტულ/სანახაობრივ და ოფიციალურ/საქმიანი ღონისძიებები
2. კოორდინირება გაუწიოს ღონისძიების მოსამზადებელ სამუშაოებს
3. ურთიერთობა ჰქონდეს ღონისძიებაში ჩართულ მხარეებთან
4. გაუკეთოს ორგანიზება ღონისძიების ტექნიკურ მომსახურებასა და უსაფრთხოებას
5. გაუკეთოს ორგანიზება ქორწილს;
6. გააფორმოს ღონისძიება და დიზაინი.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

კოლეჯმა „ორიენტირი“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“, მათ შორის ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე ნაკლები, მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე (თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მაშინ ამ მოდულის დაწყებამდე) მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში შეფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბაროზები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება შპს ორიენტირის უფლებაა. პროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამისმოდულებითგათვალისწინებულისწავლისშედეგების50%-ზენაკლებირეალურსამუშაოგარემოშიმიიღწევა.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროგრამის შემუშავების საფუძველი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი-სარეგისტრაციო ნომერი 04119-პ
2. საქართველოსგანათლების, მეცნიერების, კულტურისადასპორტისმინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს 170/ნ ბრძანება საშუალოპროფესიულსაგანმანათლებლოპროგრამაშიზოგადიგანათლებისსაშუალოსაფეხურისსწავლისშედეგებისინტეგრირებისწესისდაპირობებისდამტკიცებისშესახებ

დანართი N1-სასწავლო გეგმა-პროგრამისთვის, რომელზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
სასწავლო გეგმა-პროგრამისთვის(ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებით) , რომელზე დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება

დანართი N2-ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების შესახებ

დანართი N3-სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი ინტეგრირებული მოდულების გარეშე

დანართი N4-ინტერპერსონალურიკომუნიკაცია

დანართი N5-რაოდენობრივი წიგნიერება

დანართი N6-ინგლისური ენა

დანართი N7-მეწარმეობა 2

დანართი N 8-ინფორმაციული წიგნიერება 1
დანართი N9-გაცნობითი პრაქტიკა - ღონისძიების ორგანიზება
დანართი N10-საქმიანი წინადადების მომზადება
დანართი N11-ღონისძიების კონცეფციის შემუშავება
დანართი N12-რესურსების მართვა
დანართი N13-ღონისძიების გაფორმება და დიზაინი
დანართი N14 -ღონისძიებაში ჩართულ მხარეებთან ურთიერთობა
დანართი N15 -ღონისძიების კოორდინირება
დანართი N16-ღონისძიების ფინანსური მართვა
დანართი N17-ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება
დანართი N18-პრაქტიკული პროექტი - სადღესასწაულო ღონისძიებების ადმინისტრირება
დანართი N19-პრაქტიკული პროექტი - სპორტულ/სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა
დანართი N20-პრაქტიკული პროექტი - ოფიციალურ/საქმიანი შეხვედრების ადმინისტრირება
დანართი N21-წერილობით ტექსტთან მუშაობა
დანართი N22-ქართული ენა A2
დანართი N23-ქართული ენა B1
დანართი N24-კომუნიკაცია ქართულ ენაზე
დანართი N25-მატემატიკური წიგნიერება
დანართი N26-მოქალაქეობა
დანართი N27-მეწარმეობა
დანართი N28-მეცნიერება და ტექნოლოგიები
დანართი N29-ინტეგრირებული მოდულების აღჭურვილობის ჩამონათვალი
დანართი N30-ბიუჯეტი ღონისძიების ორგანიზება (ინტეგრირებული)
დანართი N31-ბიუჯეტი ღონისძიების ორგანიზება